რეგიონის ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის ფორმირების საკითხისათვის

ზურაბ ნასარაია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

რეგიონის პოტენციალი - არის მთავარი სტრატეგიული ცვლადი, რომლის მართვა რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების დახმარებით ხდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ "რეგიონის სოციალ-ეკონომიკური პოტენციალში" ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის უნარი, გადაწყვიტოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემის ამოცანები.

ამდენად, მდგრადი განვითარების ეკონომიკური პოტენციალი - ეს არის არსებული რესურსების მობილიზაციის ერთობლიობა რომელიც აუცილებელია რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის.

გარდა აღნიშნულისა მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია ძალაუფლების დეცენტრალიზაციის ხარისხი, რომელზეც უშუალოდ არის დამოკიდებული განხორციელებული რეგიონული პოლიტიკის თავისებურებები, უფრო ზუსტად კი - ამ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში რეგიონული ხელისუფლების მონაწილეობის ხარისხი.

ერთდროულად განვიხილოთ ცნება „რეგიონი" როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და მართვის ობიექტი.

რეგიონის ცნების ქვეშ მიღებულია იგულისხმებოდეს ტერიტორიული ერთეული, რომელსაც აქვს ერთნაირი ბუნებრივი გეოგრაფიული და სოციალურ-დემოგრაფიული პირობები, საწარმოო ძალების განვითარების სპეციფიკური მიმართულება და ბუნებრივი რესურსების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსი, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა. რეგიონი ხასიათდება მკაფიოდ განსაზღვრული ადმინისტრაციული საზღვრების არსებობით, მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველყოფის სოციალური და ეკონომიკური

ძირითადი ტექსტი

გასაანალიზებელი საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის გამოყენებით, ცნების „რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი" განმარტებაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის უნარი, გადაწყვიტოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემის ამოცანები. მდგრადი განვითარების ეკონომიკური პოტენციალი - ეს არის არსებული რესურსების მობილიზაციის ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის.

უნდა გამოვყოთ რეგიონის ითარების პოტენციალის ორი კომპონენტი: რესურსული (განვითარებისათვის საჭირო რესურსების ერთობლიობა) და ინსტიტუციური პოტენციალი, რომელიც წარმოადგენს იმ ინსტიტუტების ფუნქციონირების დონეს, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტაბილური მდგომარეობის შესაძლებლობას, როცა ადგილი აქვს შიდა და გარე ფაქტორების მღელვარებას.

ინსტიტუციური პოტენციალი ასახავს ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმალური და არაფორმალური წესების არსებობას, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონის ფაქტორებს შორის ურთიერთქმედებებს, რაც დაკავშირებულია რეგიონის მდგრადი განვითრების უზრუნველყოფასთან.

გადავიდეთ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის განხილვაზე - ეს არის საქართველოს სუბიექტი, გურიის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ძირითადად, კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. გურიას დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრე-

თით - აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აღმოსავლეთით - იმერეთი, ხოლო ჩრდილოეთით - სამეგრელო. გურიის ფართობია 2033 კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 2,9%. გურიის მოსახლეობის რაოდენობა 109,400 ათასია, რაც საქართველოს მოსახლეობის 2,97 %-ს შეადგენს.

მხარეში შედის 189 დასახლებული პუნქტი - 2 ქალაქი, 5 დაბა და 182 სოფელი. მხარის მოსახლეობის 28,71% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 71,29% სოფლებში. მაღალმთიან დასახლებებს მიეკუთვნება ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ათზე მეტი სოფელი, ხოლო ოფიციალურად, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამ სოფელს- ზოტს, ჩხაკაურასა და ქვაბღას და დაბა ბახმაროს, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვს მინიჭებული.

მოსახლეობის 96% ეთნიკურად ქართველია. გურიის რეგიონში მოქმედებს სამი თვითმმართველი ერთეული: ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები. რეგიონულ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული, რომლის ადმინისტრაცია ქ. ოზურგეთშია განთავსებული. ქ. ოზურგეთი დედაქალაქიდან 325 კმ-ით არის დაშორებული. რეგიონის ზღვისპირა მდებარეობა, ქ. ფოთის პორტთან და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან, ქუთაისის აეროპორტთან და ბათუმის აეროპორტთან სიახლოვე ქმნის კარგ პირობებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

გურიის მხარის მდგრადი განვითარების მატერიალურ საფუძველად გვევლინება ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც მოიცავს: ბუნებრივ რესურსებს, ინოვაციურ, საგანმანათლებლო, სამრეწველო, სამეწარმეო, ტურისტულ, სასოფლო-სამეურნეო, ინფრასტრუქტურულ და საექსპორტო, აგრეთვე ინტეგრაციულ და საგარეო ეკონომიკურ პოტენციალს, საერთაშორისო და საზღვრისპირა თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

ინოვაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე მდგრადი განვითარების პოლიტიკაში. ეჭვგარეშეა, რომ ინოვაციურ პოტენციალსა და რეგიონულ ზრდას განსაზღვრავენ ადამიანური რესურსები, კერძოდ კი მოსახლეობის განათლება. ინტელექტუალური (საგანმანათლებლო) პოტენციალის დახასიათების დროს, უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებული მოსახლეობის სტრუქტურაში, მუშების თითქმის ორმოცდახუთი პროცენტი უმაღლესი ან საშუალო პროფესიული განათლების მქონეა. სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს ქალაქ ოზურგეთში. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილია აღნიშნული პროფესიული კოლეჯის სამოქმედო არეალის გაფართოება და მისი ფილიალების განვითარება სოფელ გორაბერეჟოულში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი).

ბუნებრივი რესურსების პოტენციალს ახასიათებს ტექნიკურად ხელმისაწვდომი რესურსების და რეკრეაციული შესაძლებლობების განვითარება. მხარის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების მარაგები, მაგ:

წყლის რესურსები და ენერგეტიკული პოტენციალი. რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით - მდინარეებით, ტბებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლებით, მინერალური წყლებით და თერმული წყლის რესურსით. კვლევებმა აჩვენა, რომ რეგიონში მოპოვებული წყლის რესურსები გამოიყენება, როგორც ჰიდროენერგეტიკაში, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით,, ასევე სამრეწველო დანიშნულებით, სარწყავად და რეკრეაციული დანიშნულებით. გურია ესაზღვრება ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის შავ ზღვას.

რეგიონის მდგრადი განვითარების კუთხით, ზემოხსენებული ბუნებრივი რესურსების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია და ამ კუთხით რეგიონის წინაშე დგას შემდეგი პრობლემები:

- რეგიონში არსებული მინერალური წყლის რესურსის რეკრეაციული და საკურორტო დანიშნულებით გამოყენება;
- ასევე, თერმული წყლების ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენება;
- ბალნეოლოგიური თვისებებით ცნობილი შავი ზღვის სანაპირო ზონის (ურეკი-შეკვეთილი-ნატანების მაგნიტური ქვიშის პლაჟები) პოტენციალის სრული ათვისება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის გზით;

- წყლის რესურსების პოტენციალის ჰიდროენერგეტიკაში ეფექტიანად გამოყენება, მცირე ჰესების მშენებლობის გზით, რის შესაძლებლობასაც იძლევა, მხარის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები.

რეგიონი ასევე მდიდარია ტყის რესურსებით, რომელიც მრავალფეროვანი ტყითსარგებლობის შესაძლებლობას იძლევა. ტყეებისა და მისი რესურსების პოტენციალის გამოყენებას რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მერქნული რესურსის არსებული მარაგები, სწორად დაგეგმვისა და მდგრადი ტყეთსარგებლობის შემთხვევაში, იძლევა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების, ისე მათი სამრეწველო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას. გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ასევე, მოიპოვება სხვადასხვა სახის წიაღისეული.

რეგიონში არსებობს ალტერნატიული ენერგორესურსები. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ქარების მიმართულება, სიჩქარე და ხანგრძლივობა ქმნის გაბატონებული ქარის რესურსის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას. მზის ენერგიის რესურსი, ცხელი წყლით მომარაგების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მცირე ზომის სასტუმროებში, საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობებში. რეგიონში არსებობს ბიოგაზის და ბიომასის (თხილის და სახერხების ნარჩენები) რესურსი.

რეგიონი გადასულია მდგრად განვითარებაზე, რომლის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი მიზანია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, რეგიონში ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღება.

მხარეში ნარჩენების მართვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის ძირითადი მიმართულებებია:

- წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების უტილიზაციისა და დამუშავებისათვის ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება და არსებული ტექნოლოგიების დანერგვა;
- წარმოების და მოხმარების ნარჩენების პრობლემების გადაჭრის საქმეში კომპლექსური გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების გააქტიურება;
- მუნიციპალური წარმონაქმნების ტერიტორიის დასუფთავების გენერალური სქემების შემუშავება;
- წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და განთავსების ორგანიზება;
- წარმოების და მოხმარების ნარჩენების (მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები) უტილიზაციის საწარმოების მშენებლობა, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების მუნიციპალიტეტთა-შორისი კომპლექსები;
- ნარჩენების არასანქცირებული განთავსების ობიექტების ლიკვიდაცია და მათი ახლიდან ფორმირების თავიდან აცილება მომავალში;
- ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის საწარმოების დამატებითი წახალისების ღონისძიებების შემოღება.
- გარემოსდაცვითი ამოცანების პრობლემების გადაჭრას განსაკუთრებული ადგილი უკავია მხარეში, სადაც აუცილებელია არც თუ მცირერიცხოვანი მოსახლეობის ტრადიციული სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნება და აღდგენა.

კლიმატური ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, დამტკიცებულ იქნა- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“. დოკუმენტის მიზანია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხარჯთეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და ხელახალი გამოყენების ზრდას, გარემოსათვის უსაფრთხო გზით ნარჩენების დამუშავებას, ისე რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას.

ამავდროულად, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა დაცული ტერიტორიების შექმნა; ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენებისათვის

ეკოლოგიურად სუფთა და გადამუშავების შედეგად მცირე რაოდენობის ნარჩენების წარმომქმნელი ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება.

გურიაში გარემოსდაცვითი პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის მიზნებს წარმოადგენს:

- მრეწველობის საწარმოების, სოფლის მეურნეობის, საცხოვრებელი და კომუნალური მომსახურების და ეკონომიკის სხვა დარგებში ეკოლოგიური უსაფრთხო უზრუნველყოფა;
- ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გამოტყორცნის შემცირება;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის მდგომარეობის გაუმჯობესება, წყლის ობიექტების მონიტორინგის სტატუსის მქონე ქსელის გაფართოება;
- სამრეწველო და სამომხმარებლო ნარჩენების მართვის სფეროში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა უშუალოდ რეგიონის ნაგავსაყრელ პოლიგონებზე;
- მიწის ნაყოფიერებისა და ტყის გარემოს შემქმნელი ფუნქციების აღდგენა, მიწის რეკულტივაციის მოცულობების ზრდა;
- ტექნოგენური და ბუნებრივი ხასიათის ეკოლოგიურად საშიში საგანგებო სიტუაციების შედეგების პრევენცია და ლიკვიდაცია;
- მხარის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დეგრადაციის პრევენცია;
- სპეციალურად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ქსელის განვითარება, მათ შორის სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალის შექმნა, აგრეთვე ბუნებრივი ჭარბტენიანი (ჭაობები) კომპლექსების ტერიტორიების შენარჩუნება;
- მოსახლეობის გარემოსდაცვითი აღზრდისა და განათლების სისტემის გაძლიერება, მათ შორის იმ მშრომელების რომლებიც ჩართულები არიან სამრეწველო წარმოებაში;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შემნარჩუნებელი სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა, რაიონის ტერიტორიების ათვისების დროს მშენებლობის, ტრანსპორტისა და სამრეწველო განვითარებაში გარემოსდაცვითი სტანდარტების უმკაცრესი დაცვა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე გავლენით, ამინდი და კლიმატური პირობები, საფრთხეს უქმნის ადამიანებს და ეკონომიკის ობიექტებს როცა ადგილი აქვს სახიფათო ჰიდრომეტეოროლოგიური ფენომენის არსებობას. მხარეში მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ფაქტორია ინდივიდუალური, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილებისაგან, რასაც უზრუნველყოფს ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოება. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია კლიმატის ცვლილების ანთროპოგენური ზემოქმედების ფაქტორების შემცირების ღონისძიებების ნორმატიულ სამართლებრივი ბაზის შემუშავებისა და განხორციელების ღონისძიებები:

- ენერგოეფექტური და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება;
- განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენება;
- ეკონომიკური სუბიექტების გარემოსდაცვითი საქმიანობის სტიმულირება;
- საგადასახადო და საბაჟო შეღავათების შემოღება საწარმოებში, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას რომელიც მიზნად ისახავენ გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ შორის საქმიანობას ნარჩენების დამუშავების სფეროში და ჰაერში სათბურის ეფექტის მქონე აირების გამოტყორცნის შემცირებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნარჩენები შეიძლება განხილული იქნას როგორც პოტენციური ნედლეულისა და ენერგიის კარგვა. ნარჩენების გადამუშავებას მოაქვს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური სარგებელი, რადგან როგორც სექტორის ადმინისტრირება, ისე შესაბამისი ობიექტების ოპერირება, მოითხოვს დიდ ადამიანურ რესურსს. გარდა ამისა, სუფთა საცხოვრებელი და დასასვენებელი გარემო, ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკური პრობლემები

რეგიონის ეკონომიკური განვითარების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია ტურიზმის ინდუსტრია და მისი პოტენციალი, რომელიც მზარდი დინამიკით ხასიათდება რეგიონში. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დახმარებით მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებულ იქნა „ტურიზმის განვითარების სტრატეგია“, რომელიც აღიარებს, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარების მხრივ გურიას გააჩნია მრავალფეროვანი ტურისტული კულტურული, ინფრასტრუქტურული და ბუნებრივი რესურსი, მაგ: ხუროთმოძღვრების და არქეოლოგიური ძეგლები, ციხე-სიმაგრეები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, მუზეუმები.

ბუნებრივ რესურსებში ხაზგასასმელია, მისი კურორტები, მათი სამკურალო თვისებებით. რეგიონში მდებარეობს ორი მაღალმთიანი კურორტი-ბახმარო და გომისმთა და ასევე გააჩნია 22 კილომეტრიანი სანაპირო სადაც განთავსებულია შავი ზღვის კურორტები-ურეკი, შეკვეთილი და გრიგოლეთი. შეკვეთილში მდებარეობს თანამედროვე საკონცერტო დარბაზი-შავი ზღვის არენა და საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო-პარაგრაფი.

კურორტი ბახმარო (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) ზღვის დონიდან 2050 მეტრზე მდებარეობს. მთისა და ზღვის ჰაერის ეფექტი ხელს უწყობს იმას, რომ ბახმარო წარმოადგენს იშვიათი კლიმატური პირობების და ამდენად დასვენებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის მეტად სასარგებლო ადგილს. ზამთრის ტურიზმთან დაკავშირებით, ეს ადგილი პერსპექტიულია სათხილამურო კურორტის განვითარებისთვის, სხვადასხვა აქტივობის მონაცვლეობასთან ერთად.

კურორტ ბახმაროსთან მდებარეობს პონტოს მუხის დაცული ტერიტორია, რომელიც მოიცავს 443 ჰექტარს. დაცული ტერიტორია წარმოადგენს საქართველოში ერთადერთ ადგილს სადაც ასე ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი პონტოს მუხის ხე.

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. იგი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს. ეროვნული პარკი კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნითაა შექმნილი. პარკი იძლევა შესაძლებლობას, პალიასტომის ტბასა და მდ. ფიჩორის ხეობაში სანაოსნო ტურებს, ასევე სპორტულ თევზჭერას, ფრინველებზე დაკვირვებას (ბერდვოჩინგს) და ეკო-საგანმანათლებლო ტურების განვითარებისა. კოლხეთის ეროვნული პარკი, შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. რეგიონის მუნიციპალიტეტებს აქვს პოტენციალი, შეიქმნას დაცული ტერიტორიები, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის მხრიდან.

რეგიონს ასევე, გააჩნია მდიდარი არამატერიალური კულტურა, რომელიც სტრატეგიაშია აღწერილი და რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესია: შუხუთის ლელო ბურთის ტრადიცია, გურული კალანდა, გურული ღვეზელი, ჩიჩილაკი და სხვ. გურია ასევე გამოირჩევა ფოლკლორული ნიმუშების მრავალფეროვნებით, გურიაში არსებული ვაზის უნიკალური და მრავალსაუკუნოვნი ჯიშები. ღვინის წარმოების მრავალსაუკუნოვნი ტრადიცია. არამატერიალურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს

გურულ სიმღერას, რომელიც მრავალხმიანობით გამოირჩევა.

ეკონომიკის დარგენში ტურიზმთან ერთად სოფლის მეურნეობას წამყვანი ადგილი უკავია, მისი განვითარება ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთან მჭიდრო კავშირშია. გურიის რეგიონის ნიადაგ-კლიმატური პირობები იძლევა მემცენარეობის დარგების განვითარების შესაძლებლობას. რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტშია გავრცელებული მესაქონლეობა. ფერმერული ტიპის მეურნეობებში გავრცელებულია

მომთაბარეობა(საძოვრებზე). მეფრინველეობის მცირე ფერმები გვხვდება ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში. გურიაში ფუნქციონირებს საკალმახე მეურნეებები.

აგროტურიზმის მიმართულებით საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გურიის რეგიონში აგროტურისტული პოტენციალის კვლევა განახორციელა, რის შედეგადაც გამოვლინდა 60-ამდე პოტენციური ტურისტული

ობიექტი. აგროტურიზი გურიის რეგიონისათვის ახალი მიმართულებაა.

მწვანე ტურიზმი, აგრარული ტურიზმი და ა.შ. ტერმინების მრავალფეროვნების მიუხედავად ცხადია, რომ აგროტურიზმი სხვა არაფერია თუ არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, ფერმერული მეურნეობების, სოფლის/თემის ადათ-წესების, ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების დაკავშირება ტურიზმთან, გურიის თემში/სოფელში არსებული ბუნებრივი და პოტენციური ტურისტული რესურსის ჯეროვანი გამოყენება, სწორი მართვა, მარკეტინგი და პრომოუშენი, შექმნის ეკონომიკურ დოვლათს რეგიონისთვის.

სამრეწველო პოტენციალის განხილვის დროს, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გურიაში მდებარეობს სუფსის ნავთობის ტერმინალი, რომელიც უზრუნველყოფს გადაუმუშავებელი ნავთობის შენახვას, რათა ის შემდგომში ტანკერების საშუალებით გადაიზიდოს გლობალურ ბაზრებზე. ტერმინალი ასრულებს მნიშვნელოვან და სტრატეგიულ როლს, რათა მოხდეს საქართველოს როგორც ტრანზიტული ქვეყნის პოტენციალის რეალიზება.

საზღვრისპირა თანამშრომლობის მიმართულებით., საქართველო მონაწილეობს ტერიტორიული თანამშრომლობის რამდენიმე პროგრამაში. გურიის რეგიონისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ინტერვენცია: შავი ზღვის აუზის ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის ტრანსსასაზღვრო და შავი ზღვის ერთობლივი საოპერაციო პროგრამა 2014 – 2020 (I ჩ ჩ 2014-2020). ასევე ხორციელდება მცირე მასშტაბის პროექტების მხარდაჭერა: სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ხელშეწყობა, ჩაის წარმოების ხელშეწყობა (როგორც რეგიონული განვითარების ფაქტორის), ნარჩენების მართვის გეგმების გაუმჯობესება (შავი ზღვის აუზის პროგრამის ფარგლებში) და ა.შ

მდგრადი განვითრების თვალსაზრისით, საინვესტიციო პოტენციალის მართვის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროგრამები, რომელიც უზრუნველყოს რეგიონში ხელსაყრელ საინვესტიციო პირობების შექმნას. (მაგ. ბახმაროს 4 სეზონიან კურორტად გამოცხადება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა) ოფიციალური მონაცემებით რეგიონში 2016-2018 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა საერთო თანხით- 1,936,400 აშშ დოლარის ოდენობით.

რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ყველა კომპონენტის მნიშვნელობის აღნიშნვის დროს, აუცილებელია განსაკუთრებით გამოვყოთ ფინანსური პოტენციალი. რეგიონის ფინანსური პოტენციალის ეკონომიკური არსი განისაზღვრება ოთხი ასპექტის ერთობლიობით:

- ფინანსური პოტენციალი, როგორც რეგიონის შესაძლებლობები, უზრუნველყოს რესურსული ბაზის აღწარმოება და საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობა, სოციალური ამოცანების შესრულება და რეგიონული განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფა;
- ფინანსური პოტენციალი, როგორც ტერიტორიაზე მფლობელობაში არსებული ფინანსური და ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია მუნიციპალური ერთეულის ეკონომიკური საქმიანობის მდგრადობის მხარდასაჭერად;
- ფინანსური პოტენციალი, როგორც ტერიტორიის ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთობების შედეგი.

ფინანსური პოტენციალი აგრეთვე არის რეზერვი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ტერიტორიის განვითარების რისკის ფაქტორების ზემოქმედებისაგან და გაურკვევლობისგან დასაცავად. ამ როლის შესრულება უნდა იკისროს სარეზერვო ფონდმა, რომელის ნაწილიც, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, გამიზნულია საქართველოს სუბიექტის სახარჯო ვალდებულებების შესასრულებლად მაშინ, როცა არასაკმარისია ფინანსური სახსრების ბიუჯეტში შემოდინება და სახსრები საჭიროა სუბიექტის ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Robertson, St. Mine Lifecycle Planning and Enduring Value for Remote communities / St. Robertson, B. Blackwell // International Journal of Rural Law and Policy. – 2014. –№ 1. – P. 1 – 11
2. მინესოტას შტატის სახელმწიფო მდივნის ოფიციალური საიტი / http://www.sos.state.mn.us/index.aspx?recordid=962&page=10. (მიმართვის ვადა: 06.08.2018).
3. ავსტრიის განვითარების სააგენტოს ოფიციალური საიტი/ http://www.entwicklung.at/en/ (მიმართვის ვადა: 17.05.2018).
4. რეგიონული განვითარების ოფიციალური საიტი Senec-pezinok / www.rrasenec-pezinok.sk/en/ (მიმართვის ვადა: 24.12.2018).
5. რეგიონული განვითარების ოფიციალური საიტი ჟეშუვი/ http://www.rarr.rzeszow.pl/en (მიმართვის ვადა: 18.03.2015).
6. საბროკერო ღონისძიებების ოფიციალური საიტი Reengineering Construmat /http://construmat-brokerageevent2015.talkb2b.net (მიმართვის ვადა: 15.02.2016).
7. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ოფიციალური საიტი / http://unctad.org/en/Pages/Home.aspx (მიმართვის ვადა: 09.11.2015).
8. სერბეთის რესპუბლიკის რეგიონული გავითარების ეროვნული სააგენტოს ოფიციალური საიტი/ http://narr.gov.rs/index.php/narr_en (მიმართვის ვადა: 28.09.2014).

For the formation of the economic and financial potential of the region

Zurab Nasaraia, PhD student of GTU

Summary

Region potential - is the main strategic variable, which is managed with the help of regional socio-economic policy instruments. We believe that the starting point in the "socio-economic potential of the region" should be the ability of the regional socio-economic system to solve the problems of sustainable socio-economic development.

The economic potential for sustainable development is the combination of mobilization of available resources that is essential for the functioning of the regional socio-economic system.

In addition to this, an important and topical issue is the degree of decentralization of power, on which the specifics of the implemented regional policy directly depend, more precisely, the degree of participation of the regional government in the development and implementation of this policy.

Let us simultaneously consider the concept of "region" as a socio-economic system and object of management.

The notion of region is defined as a territorial unit that has the same natural geographical and socio-demographic conditions, a specific direction of development of productive forces and an interconnected complex of natural resources, industrial and social infrastructure. The region is characterized by the existence of clearly defined administrative boundaries, providing social and economic support to the population